

## მწვანე ალტერნატივას შენიშვნები და კომენტარები

შპს „საქნახშირი (ჯი-აი-ჯი ჯგუფი)“ ტყიბულის  
გამამდიდრებელი ფაბრიკის სანაყარე მეურნეობის ტერიტორიაზე  
განთავსებული ნარჩენების მეორადი გამდიდრების საწარმოს  
გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე

15 იანვარი, 2015 წ.

მიგვაჩნია, რომ საჯარო განხილვისთვის წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტი შეიცავს მნიშვნელოვან ნაკლოვანებს, როგორც არსებული სიატუაციის ანალიზის/აღწერის, ისე, საქმიანობის შედეგად ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასებისა და შესაბამისად, ზემოქმედების შერბილებესათვის განსახორციელებელი ქმედებების თვალსაზრისით. კერძოდ:

1. პროექტის მიხედვით, საქმიანობა მოითხოვს მდინარე ტყიბულაიდან წყლის აღებას, გაწმენდის შემდეგ, გამოყენებული წლის უკანვე ჩაშვებას. აქედან გამომდინარე, ანგარიშში უნდა იყოს წარმოდგენილი, მდ. ტყიბულას ბიომრავალფეროვნება.

2. გზშ ანგარიშში არ არის მითითებული ზუსტი დაშორება უახლოესი დასახლებული არეალიდან. მაგ. გვ 20 მოცემულია, რომ საწარმო უახლოესი დასახლებული არეალიდან 200 მეტრით არის დაშორებული, როცა დასაწყისში ნათქვამია, რომ დაშორება 110 მეტრია. ასევე გვ. 30 მოცემულია რომ „საწარმოო ობიექტისაგან მოსალოდნელი ხმაური არ უნდა აღემატებოდეს დასაშვებ ნორმატივებს ახლომდებარე მოსახლეობისათვის (200მ)“. აუცილებელია დადგინდეს დაშორება უახლოესი დასახლებული ადგილებიდან, ამის შემდეგ, კი ნათლად იქნას წარმოდგენილი ზემოქმედება მოსახლეობაზე.

3. ანგარიშის მე-2 თავში „ვიბრაცია“ მოცემულია ვიბრაციის ზოგადი აღწერა და შემდეგ, კი დასკვნის სახით ნათქვამია, რომ „საწარმოში არსებული დანადგარები, რომლებიც წარმოადგენენ ვიბრაციის გამომწვევ წყაროს, არ აჭარბებს დასაშვებ ნორმებს“ - რაც შემდეგ, სათანადო მონაცემებით არ არის გამყარებული (გვ. 31).

იგივე შესაძლოა ითქვას ქვეთავზე „ელექტრომაგნიტური გამოსხივება“, სადაც ასევე მოცემულია დასკვნა, რომ „ელექტრომაგნიტური გამოსხივების ინტენსივობის ფონური დონეები არ აღემატება ზღვრულად დასაშვებ დონეებს (10 მკვტ/სმ2)“ - სადაც, ასევე, არ არის მოცემული ამის დამადასტურებელი მონაცემები.

4. არ არის სათანადოდ მოცემული გარემოზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები, განსაკუთრებით ხმაურთან მიმართებაში. გამომდინარე იქედან, რომ ტექნოლოგიები განთავსებულ იქნება ღია ცის ქვეშ, ასევე გათვალისწინებით იმისა, რომ არ არის ნათლად წარმოდგენილი დაშორება უახლოესი დასახლებული არეალიდან, ჯერ მასზედ საუბარი, გადააჭარბებს თუ არა ხმაური ზღვ-ს საწარმოს მშენებლობის და/ან ექსპლუატაციის პერიოდში შეუძლებელია.

5. ანგარიშის მე-7 თავში მოცემულია - „საწარმოს ტექნოლოგიური ციკლიდან გამომდინარე, საწარმოო დანადგარები განთავსებულია ღია მოედანზე და ამდენად რაიმე სავენტილაციო სისტემის დამონტაჟება არ იგეგმება... ატმოსფეროში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებების კონცენტრაციის შემცირების მიზნით რაიმე ფილტრები დაყენება არ იგეგმება, რადგანაც ისინი საჭიროებას არ მოითხოვს“ - გვ. 64. დოკუმენტში განხილულ უნდა იქნას, ატმოსფეროში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებების კონცენტრაციის დასაშვები ნორმების გადააჭარბების შემთხვევაში, კომპანია რა შემარბილებელ ღონისძიებებს გაატარებს.

6. გზმ დოკუმენტის 5.3 ცხრილში მოცემულია მოსახლეობის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პოტენციური რისკები და მათი შემარბილებელი ღონისძიებები, სადაც ნათქვამია, რომ „შედლებისდაგვარად შეიზღუდოს დასახლებულ პუნქტებში გამავალი გზებით სარგებლობა“ - გამომდინარე იქედან, რომ საწარმო მოსახლეობიდან ისედაც 110, ან 200 მეტრით არის დაშორებული (რაც დასაზუსტებელია), უნდა იყოს მოცემული არის თუ არა შემოვლითი გზით სარგებლობის შესაძლებლობა, ან იგეგმება თუა არა ახალი გზის მშენებლობა. ამასთან, არ არის დაზუსტებული და გაწერილი, თუ რამდენი მანქანის გადაადგილება იგეგმება დღის განმავლობაში; რა უსაფრთხოების, თუ შემარბილებელ ღონისძიებებს გამოიყენებს ნედლეულის გადაზიდვისას კომპანია.

7. ანგარიშის 9.2 ქვეთავში „პროექტის განხორციელების შემდგომი სიტუაციის ანალიზი“ მოცემულია, რომ საწარმოდან, უახლოეს დასახლებულ პუნქტში, არაორგანული მტვრის მნიშვნელობა 0.99 ზდკ-ს ტოლია. ამ შემთხვევაში უნდა დაზუსტდეს, მოცემულ მნიშვნელობაში იგულისხმება - მაქსიმალურ ერთჯერადი, საშუალო დღეღამური, თუ წლიური ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია.

8. გზმ-ს ანგარიშში განხილული არ არის ტექნოლოგიური ალტერნატივები, აგრეთვე, არ არის სათანადოდ დასაბუთებული შერჩეული ვარიანტების კრიტერიუმები. ამასთან, არ არის მოცემული საწარმოს მიერ გამოყენებული ტექნოლოგიების საპასპორტო მონაცემები.

9. ერთ-ერთი ყურადსაღებო საკითხი, როგორც არის ნიადაგისა და გრუნტის წყლების დაბინძურება, არასრულყოფილად არის წარმოდგენილი. გზმ ანგარიშში ნათქვამია, რომ საქმიანობა არ წარმოქმნის ნიადაგური ზედაპირის დაბინძურების საშიშროებას გარე პერიმეტრზე. ასევე, „არ წარმოქმნის გრუნტის წყლების დაბინძურების შესაძლებლობას გარე პერიმეტრზე და შესაბამისად არ არსებობს წინაპირობა გრუნტის წყლების დაბინძურების წარმოქმნის მიმართულებით, რადგან საწარმოო პროცესში გამოყენებული წყალი კანალიზირებულია და გაწმენდის შემდეგ ჩაედინება მდინარეში“. აქვე არ არის განხილული საწარმოს შიდა პერიმეტრის დაბინძურების რისკები.

ამასთან, გზმ დოკუმენტში არ არის წარმოდგენილი მონაცემები, საწარმოს განთავსების ადგილას, მიწისქვეშა წყლების შესახებ, არ არის განხილული მასზე შესაძლო ზემოქმედება და საჭიროების შემთხვევაში, არ არის დადგენილი შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები.

10. გზმ დოკუმენტში საწარმოს საქმიანობის შედეგად გამოყენებული წყლის მდინარე ტყიბულაში ჩაშვებასთან და მის გაწმენდასთან დაკავშირებით მოცემულია, რომ მექანიკურად დამუშავებული წყალი შემდეგ მდ. ტყიბულაში ჩაედინება. ასევე, ნათქვამია, რომ „სანაყარე მეურნეობაში განთავსებული ნარჩენების ფუჭი ქანის ქიმიური ანალიზის შედეგები აჩვენებს, რომ მისი შემადგენელი ნივთიერებები პრაქტიკულად, ქიმიურად არ იხსნება წყალში და ამიტომ არ არსებობს საჭიროება მისი გავილტვრისათვის ქიმიური პროცესის გამოყენება“.

ცნობილ ფაქტს წარმოადგენს ის გარემოება, რომ მსგავსი საქმიანობა წყლის ხარისხზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს. იმ შემთხვევაში, თუკი საქმიანობის განმახორციელებელმა, ზემოთმოცემული ანალიზი

ჩაატარა, უნდა წარმოადგინოს შედეგები და დოკუმენტის სახით დაურთოს გზშ ანგარიშს. რაც გადაწყვეტილების მიმღებ პირებს მისცემს საშუალებას იმსჯელონ შესაძლო საფრთხეებზე.

11. გზშ-ს დოკუმენტში სრულყოფილად არ არის მოცემული, საწარმოს სამშენებლო სამუშაოების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობა და მისი მართვის გეგმა.

ანგარიშის თანახმად, „ნარჩენები გატანილი იქნება უკან პოლიგონზე, სადანაც ამოღებულ იქნა ნედლეული მეორადი გამდიდრებისათვის“, თუმცა არ არის განხილული ზემოქმედება, თავად ნარჩენების განთავსების მიმდებარე ტერიტორიაზე. ამასთან, არ არის მოცემული თუ საიდან მოხდება ნედლეულის შემოტანა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებლად მიგვაჩნია, რომ უნდა მოხდეს ნარჩენების საფუძვლიანი შეფასება, გადაიხედოს საწარმოო ნარჩენების საბოლოო განთავსების ადგილები, პირობები და გამოვლინდეს გარემოსდაცვითი თვალსაზრისით უფრო მისაღები ვარიანტები.